შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

განათლების მეცნიერების პროგრამა

დრამაზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების გავლენა მასწავლებლების მიერ გამოყენებულ სწავლების მეთოდებზე და მიდგომებზე

(უგანდას მაგალითი)

ადებაიო სამუელ ადედოინ

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2020

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჩქოტუა მაია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შირლი მაქლოქლინ

ქინის სახელმწიფო კოლეჯი, ამერიკის შეერთებული შტატები, პროფესორი



ექსპერტები

1. ნათელა დოღონაძე პროფესორი, დოქტორი
   ……
2. ირმა მესირიძე ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
   ……

ოპონენტები

1. მადონა შელია პროფესორი, დოქტორი
   ……..
2. მარინე ჩაგელიშვილი ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
   ……..

შესავალი

დრამაზე დაფუძნებული სწავლება უფრო და უფრო პოპულარული ხდება 21-ე საუკუნეში. პედაგოგებმა შეამჩნიეს ის ფასეულობა რომელიც გააჩნია ამ მიდგომას მთელი სასწავლო პროცესისთვის, მაგრამ მასწავლებლების ნაწილს ეჭვი ეპარება ამ მიდგომის ეფექტურობაში, რადგან მიიჩნევენ რომ ეს არ ძალიან სპეციფიური მიდგომა და სასარგებლო იქნება მხოლოდ მათთვის ვისაც დრამის თუ ზოგადად თეატრის სფეროში საკმარისი ცოდნა გააჩნია. ამან ბიძგი მისცა მკვლევარს, რომ მოეხდინა მასწავლებლების ინფორმირება ტრენინგის საშუალებით, რომ დრამაზე დაფუძნებული სწავლება არის მარტივი და პროცესი კი სათანადოდ ღირებული. მკვლევარებმა (Lee, Cawthon, და Dawson, 2013) აღწერეს ექსპერიმეტის შედეგად მიღებული სტუდენტ-მასწავლებლების გამოცდილება რომლებსაც პრობლემა ჰქონდათ დრამაზე დაფუძნებულ თეორიასთან მიმართებაში. მათ წაიკითხეს საკმაოდ ბევრი ლიტერატურა კრიტიკულ პედაგოგიკაზე და სწავლების სოციოკულტურულ თეორიაზე რომლებიც სხვაგვარად გადმოსცემენ ადრე არსებულ მოსაზრებებს განათლებაზე. პრაქტიკოსი მასწავლებლები მივიდნენ ორ დასკვნამდე თეორიასთან და მის პრაქტიკულ გამოყენებასთან მიმართებაში. პირველი, თეორია თითქმის ამოღებულია სტუდენტ-მასწავლებლების აღქმაში პრაქტიკული საგაკვეთილო პროცესის დროს და, მეორე, მცირე გამოცდილების მქონე მასწავლებლებისთვის თეორია არის ყველა კონტექსტზე მორგებული. ეს უჩვეულო შემთხვევაა დამწყები მასწავლებლებში, განსაკუთრებით კი მათთვის ვინც არ იცნობს დრამაზე დაფუძნებულ პედაგოგიკას (Pallas, 2001; Zeichner, 2010).

პრობლემა

მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას ყოველთვის არ მოაქვს სასურველი შედეგი არაეფექტური მეთოდების გამოყენების შედეგად. წარმოდგენილი ექსპერიმენტული ნაშრომის მიზანია შეაფასოს დრამაზე დაფუძნებული სწავლება როგორც შედარებით თანამედროვე მიდგომა რომელიც გავლენას იქონიებს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე და კლასში მათი მუშაობის ხარისხზე. როდესაც ვსაუბრობთ სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე

სწავლებისას, მნიშვნელოვანია დრამაზე დაფუძნებული სწავლების გავლენის შეფასება მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ეს საკითხი არ არის საკმარისად შესწავლილი. მკვლევარების ჯგუფმა (Lee, Patall, Cowthon, and Steingut,2015) შეისწავლა დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკა და დაასკვნეს რომ ჩატარებული კვლევების უმრავლესობა 1985 წლიდან 2012 წლამდე იყო ზედაპირული. უშტიკმა და ინანმა (2017) გაანალიზეს მსოფლიოში არსებული კვლევები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ის გამოიყენება ოთხი მთავარი მიზეზის გამო:

- კონსტრუქტივისტული შედეგის მიღება (ტრენერი და მასწავლებლები პედაგოგიურ ცოდნას და უნარებს ერთად იძენენ; მასწავლებელი და მოსწავლეები კი საგნობრივ ცოდნას და უნარებს);

- კუტურული შედეგის მიღება (მასწავლებლის/მოსწავლეების კულტურული თავისებურებების გათვალისწინება);

- კლასში მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება (მასწავლებლები იმდიდრებენ სწავლების მეთოდებს; მოსწავლეები იუმჯობესებენ საგნობრივ ცოდნას და უნარებს);
- ორივე, კოგნიტური და აფექტური სწავლების გამოყენება.

მკვლევარებმა აღმოაჩინეს რომ თურქულ კონტექსტში დრამაზე დაფუძნებული სწავლება გამოიყენება ინგლისური ენის სწავლებისას რომელიც სხვა არაერთ ქვეყანაში გამოიყენება. მაშასადამე, დრამაზე დაფუძნებული მასწავლებლების ტრენინგის ჩასატარებლად, განათლების სფეროს მუშაკებმა უნდა იცოდნენ არის თუ არა ის საერთოდ ეფექტური, და თუ ეს ასეა, მაშინ როგორ გახადონ ის მასიმალურად ეფექტური.

კვლევის მიზნები

მკვლევარის მიზნია დრამაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება როგორც სწავლების ასევე მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის. ეს შესაძლოა სასარგებლო იყოს ნებისმიერი სკოლის, კოლეჯის, ინსტიტუტის, თუ უნივერსიტეტის როგორც მასწავლებლებისთვის ასევე ადმინისტრაციისთვის. წინამდებარე კვლევის მიზანია ამ პროცესის პრაქტიკული სარგებლობის შესწავლა და ნახვა თუ რა გავლენას მოახდენს ის მასწავლებლებზე მომავალში. მისი მიზანია მასწავლებლების აღჭურვა იმგვარი ცოდნით რაც მათ გამოადგებათ ნებისმიერი მასალის კომუნიკაციურად სწავლებისას რაც ხელს შეუწყობს მათი სტუდენტების მოტივაციას რომ ისწავლონ.

საკვლევი კითხვები

კვლევის მიზნები მიიღწევა შემდეგი საკვლევი კითხვების საშუალებით:

- არის თუ არა შესაძლებელი რომ მასწავლებლები ისევე ჩაერთონ ტრენინგში როგორც თეატრის დასი (დირექტორები, მსახიობები, და რეჟისორები)?
- შეიძლება თუ არა დრამაზე დაფუძნებული ტრენინგი იყოს მოქნილი მასწავლებლებისთვის?
- რა გავლენა აქვს დრამაზე დაფუძნებულ მიდგომას მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ტრადიციულ მიდგომებთან შედარებით?

კვლევის სიახლე

საგანმანათლებლო ადმინისტრაციის წევრებს კარგად გამოსდით სწავლების მიდგომების, საჭირო სასწავლო მასალების მოძიება თუ მაღალი კვალიფიკაციის ტრენერების მოყვანა ტრენინგების ჩასატარებლად. მაგრამ რამდენად ეფექტურები არიან ტრენერები იმის გაზომვაში თუ რისი პროდუცირება შეუძლიათ მასწავლებლებს მათი ტრენინგის შედეგად? როგორ შეიძლება გადაიხედოს მიდგომა ტრენინგებისადმი რათა მასწავლებლებმა შეძლონ მასალის

ეფექტურად გამოყენება პრაქტიკაში? როგორ შეიძლება მასწავლებლების ამ პროცესში ჩართვა და ინსპირირება იმგვარად რომ კრეატიულად ასწავლონ მოსწავლეებს ისე რომ მოტივირებულნი იყვნენ როგორც თითონ ასევე მასწავლებლები? დრამაზე დაფუძლებული პედაგოგიკას შეუძლია შემსწავლელების ინდივიდუალური თვისებების და სწავლის სტილის გამოვლენა, მაგრამ თუ ტრენერებმა არ იციან როგორ მიუდგენენ ამ საკითხს და დახვეწონ ამავდროულად, მაშინ მათი ეფექტურობა შემცირდება (Chan, 2009). წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხილული იქნება თუ როგორ შეიძლება დრამის სხვადასხვა ნაწილების (გონებრივი იერიში და წარმოსახვა, სცენარის წერა და კითხვა, თვითონ შესრულება რომელიც მოიცავს კინესთეტიკურ, აუდიტორულ და პროცედურულ გზებს როგორიცაა კრეატიული მოძრაობები) გამოყენებას მასწავლებლების პროფესიული განვითარების კუთხით ისე რომ ეს ყველაფერი აისახოს მათ სწავლებაში. წინამდებარე კვლევა და მისი შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ჩარჩო დოკუმენტი მასწავლებელთა ტერნინგისთვის.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება

კვლევის მიზანია საგანმანათლებლო სფეროს ადმინისტრაციის მუშაკების და უშუალოდ სწავლების პროვესში ჩართული ადამიანების ცოდნის დონის გაუმჯობესება მასწავლებლების პროფესიული განვითარების კუთხით. გარდა ამისა, პროცესის ბოლოს ტრენერებს ექნებათ შესაბამისი ცოდნა საჭირო სტრატეგიების გამოსაყენებლად და უფრო მეტი ტრენერი, მასწავლებელი თუ ადმინისტრაციის მუშაკი შეძლებს წინამდებარე კვლევაზე დაფუძნებული დოკუმენტის გამოყენებას რაც მათ დაეხმარებათ დასახული მიზნების მიღწევაში როგორც მთლიანად მასწავლებლების ტრენინგის დიზაინის კუთხით, ასევე მისი პრაქტიკაში განხორციელების და შესაბამისად, შედეგების კუთხითაც.

კვლევის თეორიული ღირებულება

დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკას გააჩნია თავისი თეორიული საფუძველი და ეყრდნობა ექსპერიმენტული, სოციალური და კონსტრუქტივისტული სწავლების

თეორიებს. მიუხედავად იმისა, რომ დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის საფუძველი ხელოვნებაშია, ის მაინც იღებს თეორიულ საფუძველს სოციოლოგიიდან და ფსიქოლოგიიდან და ვრცელდება განათლების სფეროში. ეს არ არის სწავლების ერთ-ერთი მეთოდი, არამედ ის მიზნად ისახავს შემსწავლელს ბალანსი შეუნარჩუნოს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და ემოციურ დონეზე. წინამდებარე კვლევაში გაანალიზებულია დრამაზე დაფუძნებულ პედაგოგიკასთან დაკავშირებული თეორიები, როგორებიცაა ერვინ გოფმანის თეორია, კოლბის ექსპერიმენტული სწავლების თეორია, კონსტრუქტივისტული თეორია და ნაკადის თეორია.

კვლევა მიზნად ისახავდა დრმაზე დაფუძნებულ პედაგოგიკასთან დაკავშირებული თეორიების საშუალებით მასწავლებლების ტრენინგს ამ ახალი მიდგომის გამოყენებით.

კვლევის ჰიპოტეზა

ტრენერებს, რომლებიც გეგმავენ ტრენინგს და ახორციელებენ დრამაზე დაფუძნებული მიდგომის საშუალებით მასწავლებლების პროფესიული განვითარების კუთხით უფრო კარგი შედეგები აქვთ იმ ტრენერებთან შედარებით, რომლებიც იყენებენ ტრადიციულ (ლექცია) მიდგომას და ამ ყველაფერს გავლენა აქვს მასწავლებლებზე რომლებიც კრეატიულად უწევენ მოდერნიზებას თავიანთ სწავლის მეთოდებს.

კვლევის მეთოდები

წინამდებარე კვლევისთვის გამოყენებულ იქნა ექსპერიმენტული სწავლება კვლევის ჰიპოტეზის დასადასტურებლად. ექსპერიმენტული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დასამუშავებლად შერჩეულ იქნა შერეული მეთოდი (თვისობრივი და რაოდენობრივი).

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება სამი თავისგან: პირველი თავი ეთმობა დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვას. მეორე თავი კი ეხება დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის საშუალებით მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას. დისერტაციის მესამე თავი ეთმობა უგანდაში ჩატარებულ კვლევას და მის დეტალურ აღწერას. დისერტაცია მოიცავს შესაბამისი ტერმინების განმარტებებს, ცხრილებს და სურათებს და სრულდება გამოყენებული ლიტერატურის სიით და დანართებით.

პირველი თავი. დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის ლიტერატურის მიმოხილვა

დისერტაციის წინამდებარე თავი იწყება ისტორიის მიმოხილვით ბრიტანულ კონტექსტში რადგანაც ის მიიჩნევა მისი ფორმირების და განვითარების ცენტრად. 1914-1918 წლებიდან მოყოლებული ბრიტანელ ხალხს ჰქონდა მცდელობა ყოფილიყვნენ თავისუფლები და ჰყოლოდათ უფრო სამართლიანი საზოგადოება. დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკა როგორც ტერმინი მონაცვლეობით გამოყენება ტერმინთან თეატრი განათლებაში და კავშირი აქვს თეატრის პედაგოგიკასთან. ძალიან რთული იქნება ამ ტერმინისთვის გვერდის ავლა როდესაც ისტორიაზე ვსაუბრობთ, რადგან პედაგოგიკამდე იყო მოძრაობა და მანამდე კი იყო პრაქტიკა. მისი ფესვები არ არის ზუსტად ცნობილი მაგრამ მარტივად შეიძლება მისი ისტორიული კვალის მიყოლა დოროთი ჰისკოტის და აუგუსტო ბოულის წიგნის „ჩაგრულთა თეატრი“-ის საშუალებით, ბრაიან ვეის კვლევის მიხედვით, რომელმაც ჩამოაყალიბა ბავშვთა თეატრი და პიტერ სლეიდის საშუალებით რომელმაც შექმნა დრამის კურსი ბავშვებისთვის რომელმაც გზა გაუკვალა პროგრესულ თეორიებს და პედაგოგიკას რომელსაც დაეყრდნო დრამა (Jackson, n.d; Heathcote, 1984; Boal, 2008). მაგალითად, გართობის გარდა ის გამოიყენებოდა საზოგადოების შესაცვლელად და მის განსავითარებლად (Jennings, 2009; Somers, 2008), პიროვნული განვითარებისთვის და თერაპიისთვის (Jones, 1996), და დრამას ასევე გავლენა ჰქონდა განათლებაზე.

დისერტაციაში განხილულია დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის განმარტება, რომლის მიხედვითაც ეს არის პედაგოგიკა რომლიც „სწავლობს ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობებს დრამასა და განათლებას შორის, ანიჭებს რა უპირატესობას დრამაზე დაფუძნებულ სწავლა - სწავლების მრავალფეროვნებას კურსის კურიკულუმთან ერთად“ (Kathryn & Bridget, 2018).

ტერმინი დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკა გაიყენება ისეთი პრაქტიკის აღსაწერად რომელიც იყენებს აქტიურ და დრამატულ საშუალებებს რომ ჩართოს სტუდენტები აკადემიურ, ესთეტიურ და აფექტურ სწავლებაში დიალოგის საშუალებით. ის საშუალებას აძლევს მასწავლებლებს უკეთ შეისწავლონ თავიანთი შეხედულება სწავლა სწავლების თეორიების და ფილოსოფიებისა სწავლების სოციოკულტურულ და კრიტიკულ თეორიებთან ერთად.

გარდა ამისა, დისერტაციაში შესწავლილ იქნა დრამაზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებული თეორიები რადგან აზრმა მისცა გასაქანი პრაქტიკას და თუ პრაქტიკა არ ეფუძნება კარგად შესწავლილ და დამტკიდებულ იდეებს, მაშინ მას ღირებულებაც არ გააჩნია. ის რომ გახდეს სწავლების მეთოდი, ამისათვის საჭიროა მას გააჩნდეს საფუძველი რომელიც ეყრდნობა არსებულ თეორიებს. ეს თეორიები კი ასოცირდება სწავლის კოგნიტურ, კონსტრუქტივისტულ და სოციალურ თეორიებთან. მკვლევარმა დისერტაციაში განიხილა რამოდენიმე თეორია, როგორიცაა ერვინ გოფმანის თეორია, კოლბის ექსპერიმენტული სწავლების თეორია, კონსტრუქტივისტული თეორია და ნაკადის თეორია გაავლო პარალელი მათ შორის და ისაუბრა მსგავსებებზე დრამაზე დაფუძნებულ სწავლებასა და აღნიშნულ თეორიებს შორის.

მკველავარმა აგრეთვე შეისწავლა დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის ისტორიაში მისი მთავარი მიმდევრების მიდგომები და მეთოდოლოგია. მან ხაზი გაუსვა პიტერ სლეიდის ნაშრომს, რომლიც მთავარი იდეა მდგომარეობს ბავშვის განათლების მნიშვნელობაზე ბავშვის პერსპექტივიდან და იმაზე თუ როგორ უნდა აღვზარდოთ ის ‘თამაშზე’ აქცენტირებით. ის მიიჩნევს რომ მასწავლებლების პრენინგზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს თამაშს რომ მათ ეს გამოცდილება

გაუზიარონ ბავშვებს სწავლებისას. ჯექსონის (1990) თანახმად, სლეიდის მთავარი არგუმენტი ის იყო რომ პირველ რიგში ხელი შეეწყო საკუთარი მეს განვითარებისთვის როგორც ფუნდამენტალური ნაწილისა განათლებაში.

დოროთი ჰილკოტის სწავლების ტექნიკებში მნიშვნელოვანი იყო 'გვერდითი აზროვნება', ანუ პრობლემის მოულოდნელი კუთხით დანახვა. მეორე კი იყო დროდადრო როლებში სწავლება, რომელსაც მან მოგვიანებით უწოდა „ექსპერტი მანტია" (Burgess, n.d). ორმოცწლიანი პროფესიული გამოცდილების შემდეგ მან შექმნა ბავშვების სწავლების მეთოდი რომელიც ბავშვზეა ორიენტირებული განსაკუთრებით კი დრამის საშუალებით განსხვავებიტ ტრადიციული მეთოდებისგან სადაც დრამა გამოიყენება როგორც გასართობი საშუალება მეტყველების და შესრულების გამოყენებით.

ჰილკოტის ნაშრომი ეწინააღმდეგება დიუის მსჯელობას „ცოდნის ბანკის სცენართან" დაკავშირებით, სადაც მას სჯერა რომ მხოლოდ მასწავლებელს გააჩნია სათანადო ცოდნა და ის გადასცემს მას ბავშვს. აქ მანტიაზე არ უნდა ვიფიქროთ მხოლოდ როგორც ქსოვილზე არამედ იმ განსაკუთრებულ თვისებებზე და ლიდერობის უნარზე ბავშვში რომლიც მან უნდა გააჩნდეს სათანადო სწავლების საშუალებით.

მკვლევარმა აგრეთვე შეისწავლა ქეთრინის და ბრიჯეტის (2018) ნაშრომი სადაც მათ დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკა განმარტეს როგორც დრამაზე დაფუძნებული სწავლების ნაირსახეობა რომელიც მოიცავს როლურ თამაშებს, დრამის პროცესს, არტეფაქტებს და სწავლების სხვადასხვა ტექნიკებს, ექსპერტის მანტიას, თხრობას, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას და არსებული სცენის სხვა სცენით ჩანაცვლებას. რაც შეეხება დრამაზე დაფიძნებული პედაგოგიკის კატეგორიზაციას, ისინი წარმოადგენენ შინაარსს რომელიც მოიცავს ოთხ განსხვავებულ და დინამიურ ელემენტს: დიალოგის აქტივაცია, ტეატრალური თამაშები როგორც მეტაფორა, გამოსახულებაზე და როლზე მუშაობა (Dawson & Lee, 2018). დიალოგი და მეტაფორა კავშირშია განათლების მიზნებთან. მაშინ როცა როლი და თამაშები ეხება უფრო დრამას და თეატრს.

მეორე თავი. მასწავლებლების პროფესიული განვითარება დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის საშუალებით

დისერტაციის მეორე თავში მკვლევარი ეხება მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის საშუალებით საუბრობს რა პროფესიული განვითარების მნიშვნელობაზე ზოგადად და კონკრეტულად კი უგანდაში, დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის გავლენაზე სწავლებაზე და განათლებაზე და ბოლოს, მიმოიხილავს რელევანტურ კვლევებს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის საშუალებით.

მასწავლებლის პროფესიული განვითარება შეიძლება ეხებოდეს სხვადასხვა ტიპის „სპეციალიზებულ ტრეინინგს, ფორმალურ განათლებას, თუ მაღალი დონის პროფესიულ სწავლებას რომლიც მიზანია დაეხმაროს ადმინისტრაციას, მასწავლებლებს და სხვა ნებისმიერ სწავლებაში ჩართულ ადამიანს გაიუმჯობესოს პროფესიული ცოდნა, კომპეტენცია, უნარი და ეფექტურობა“(The Great Schools Partnership, 2013). წინამდებარე დისერტაციაში პროფესიული განვითარება განხილულია სწავლების უნარების გაუმჯობესების კუთხით, რაც თავის მხრივ გავლენას იქონიებს მათ უნარებზე საკლასო ოთახში რომელზეც დაკვირვება მოხდება განსაზღვრული პერიოდის მანძილზე. შულმანის და შულმანის (2004) აზრით, მასწავლებელი არის „პროფესიული საზოგადოების წევრი, რომელიც მზად არის და შესწევს სწავლა სწავლების უნარი მისი საკუთარი გამოცდილების საუძველზე“ (გვ.2). ამ თეორიის ნაწილი შესაძლოა კონკრეტულად გამოყენებულ იქნეს როგორც გზამკვლევი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში რომელიც მოიცავს, მზადყოფნას, ანუ ხედვას; სურვილს, ანუ მოტივაციას; უნარს გქონდეს ორივე, როგორც ცოდნა ასევე უნარი; გქონდეს რეფლექსიის უნარი, ანუ გამოცდილებით სწავლის უნარი და იყო პროფესიული საზოგადოების წევრი. ამ მოდელის თანახმად, შემდგარი მასწავლებლის პროფესიული განვითარების და სწავლის უნარია: სათანადო ხედვა, მოტივაცია, გაგების უნარი, პრაქტიკა, რეფლექსია, და საზოგადოება.

მასწავლებელი რომელიც ცდილობს განვითარებას არ უნდა იყო თავისი სტატუსით კმაყოფილი და უნდა ჰქონდეს ხედვა განვითარების. მაგალითად, მას უნდა ესმოდეს რომ სწავლება არ არის მხოლოდ პროცესი რომელიც მოიცავს საუბარს, გამეორებას თუ სხვა სიტყვებით ახსნას. მასწავლებლები რომლებიც სერიოზულად არ უდგებიან პროფესიულ განვითარებას, ვერ იქნებიან მოტივირებულები რომ შეცვალონ ან გაიუმჯობესონ მიდგომები. მეორეს მხრივ, ის მასწავლებლები რომლებიც ისწრაფვიან პროფესიული განვითარებისკენ მეტად მოტივირებულები არიან რომ ამ გზით შეძენილი ცოდნა გამოიყენონ სწავლების პროცესში.

პედაგოგიკა არის ქვაკუთხედი რომლიც მიხედვითაც არ არსებობს თეორია პრაქტიკის გარეშე. ნებისმიერი მასწავლებელი რომელსაც უნდა დახვეწა უნდა ისწრაფოდეს ამისკენ პედაგოგიკაზე დაყრდნობით. მერფი (2008) განმარტავს პედაგოგიკას როგორც „ინტერაქციას მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სასწავლო გარემოსა და დავალებებს შორის“(p.35). ეს ფართო ტერმინი მოიცავს მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთობებს და სწავლების იმ მიდგომებს რომლებიც გამოიყენება კლასში რომელიც ორ ძირითად სპექტრს ეფუძნება: მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლებასა და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებას (UNESCO & IIEP, n.d, გვ.2).

მიიჩნევა რომ, განათლების მიზნებიდან გამომდინარე ორივე მიდგომა შეიძლება იყოს გამოყენებული. ეს კი შესამჩნევია მაშინ როდესაც სტუდენტების ასაკი და გარემო პირობები რომელშიც მათ უწევთ სწავლა არ შეესაბამება ერთმანეთს. ყველა მასწავლებელი, რომელსაც უნდა განვითარება უნდა მისდევდეს იმ პედაგოგიკას, რომელიც არის ეფექტური და მოიცავს სწავლების მრავალფეროვან სტილს და მასში ჩართულია ინტელექტი, შეესაბამება სასწავლო გარემოს, ხელს უწყობს ერთიანობას განსხვავებული კულტურის მქონე ადამიანებში, და აკავშირებს საერთაშორისო სამყაროსთან სასწავლო დისციპლინის მიუხედავად. ამ ბოლო პერიოდში, მასწავლებლის პროფესიული მომზადება მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომიდან შეიცვალა სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომით (Westbrook, et al., 2013).

წინამდებარე თავში მკვლევარმა მიმოიხილა მასწავლებლების პროფესიული განვითარების საკითხი უგანდაში. უგანდა არის ქვეყანა, რომელსაც სამოქალაქო ომამდე (1981-1986 წლები) ჰქონდა ერთ-ერთი საუკეთესო განათლების სისტემა აფრიკაში (Malunda, 2018), რომელიც ორიენტირებული იყო მოსწავლეების კომპეტენციების და მაღალი დონის აზროვნების უნარების განვითარებაზე. უგანდის დასაქმების ბაზარი იყო საკმაოდ ძლიერი სადაც სხვადასხვა საფეხურის კურსდამთავრებულები აკმაყოფილებდნენ ბაზრის მოთხოვნებს, მაგრამ სამოქალაქო ომის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა (Ssekamwa & Lugumba, 2010). მოხდა ტვინის გადინება ქვეყნიდან და ვინც დარჩა მათ არ გააჩნდათ სათანადო კომპეტენცია, ან კიდევ კორუფციაში იყვნენ ჩართულები. მას შემდეგ მთავრობა ცდილობს ამ დანაკარგის ანაზღაურებას განათლების სისტემაში და ამისთვის რამოდენიმე რეფორმაც კი განახორციელა.

რამოდენიმე კვლევის თანახმად (Cleg et al, 2010; Curriculum Assessment and Examination (CURASSE)) ბევრი მასწავლებელი ჯერ კიდევ მასწავლებელმა ორიენტირებულ მიდგომას იყენებს. მიუხედავად განათლების და სპორტის სამინისტროს განკარგულებისა რომ დანერგილიყო მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, სიტუაცია უცვლელი რჩება. მასწავლებლები არ იყენებენ ინოვაციურ და კრეატიულ სწავლების მეთოდებს და ჯერ კიდევ აქცენტი კეთდება ტრადიციულ ზემოდან ქვემო მიდგომაზე, რის შედეგადაც სტუდენტები ვერ იყენებენ შეძენილ ტეორიულ ცოდნას პრაქტიკაში, არ გააჩნიათ კითხვის სათანადო უნარი, და აქვთ ყურადღების ნაკლებობდა დეტალებთან მიმართებაში, განსაკუთრებით კი ენების შესწავლისას (Uganda National Examination Board, 2010; National Assessment in Public Education, 2015). არსებულ სიტუაციას შესაძლოს ჰქონდეს რამოდენიმე შედეგი. პირველ რიგში უნდა მოხდეს სწავლების მეთოდების გადაფასება. რადგანაც წერა და კითხვა არის ორი მნიშვნელოვანი უნარი, წაკითხულის გააზრება და ახალი ცოდნის შექმნა სტუდენტის საკუთარი გამოცდილებით საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია. ამგვარად არის საჭიროება რომ უგანდის სკოლებში მოხდეს დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის ინტეგრირება. პროფესიული განვითარების კუთხით დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკა არ მოიცავს მხოლოდ გაკვეთილის დაგეგმვის

სტრატეგიებს და მიდგომებს, არამედ ანვითარებს მასწავლებლებს პროფესიულად. ეს კი დადებითი მოვლენაა ისეთი ქვეყნისთვის როგორიცაა უგანდა (Plecki & Castaneda, 2009).

მკვლევარმა აგრეთვე შეისწავლა დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის გავლენა ზოგადად განათლებაზე და უშუალოდ გაკვეთილზე. ფრეირი (Freire, 1970) თავის ნაშრომში აღწერს მასწავლებელსა და სტუდენტს შორის არსებული კავშირის ძალის და ცოდნის რადიკალურ ცვლილებას. ის ეწინააღმდეგება უბრალოდ ცოდნის გადაცემას რაც დღესდღეობით ხდება სკოლებში და ემხრობა იდეების თავისუფალ გაცვლა-გამოცვლას სადაც სტუდენტები და მასწავლებლები როლებს იცვლიან. ასეთ თანამშრომლობით და დიალოგური სტილის განათლებისას, მოსწავლეები და მასწავლებლები თანაბარი პასუხისმგებლობით ეკიდებიან პროცესს რომლიც ორივე მხარისთვის სასარგებლოა (გვ.80). ეს პერსპექტივა ხელს უწყობს ავთენტური სწავლებას იმგვარი აქტივობებით რომლებიც სტუდენტების კულტურათან არის დაკავშირებული (Newmann, Secada, & Wehlage, 1995).

არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა ანალიზის შედეგად მკვლევარმა შეიმუშავა მოდელი რომელიც სასარგებლო იქნება მასწავლებლებისთვის დრამაზე დაფუძნებული პროფესიული განვითარებისთვის.

დრამაზე დაფუძნებული მოდელი მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის

იმისათვის რომ მაქსიმალურად ეფექტური იყოს დრამაზე დაფუძნებული პროფესიული განვითარება, უნდა მოხდეს მასწავლებლების ტრენერების სათანადო მომზადება (როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული). ესენი უნდა იყვნენ გამოცდილი ადამიანები როგორც სწავლებაში ასევე პროფესიული განვითარების კუთხით, მოქნილი და კრეატიულები მაგრამ ამავდროულად ღია ახალი მიდგომების დასანერგად პროფესიული განვითარების კუთხით.

მასწავლებლების და ტრენერების ინფორმირების შემდგომ რომ მათ შეუძლიათ პროფესიული განვითარება ტრენინგებზე დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის

საშუალებით, ჩნდება კითხვა თუ როგორ არის შესაძლებელი რადგან ცნობილი მოდელი არის ის რაც გამოპიყენება მოსწავლეების სწავლებისას. მკვლევარმა შეიმუშავა მოდელი რომლის გამოყენებაც შესაძლებელია როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის. ამ მოდელსა და სტუდენტ-მოსწავლეებისთვის არსებულ მოდელებს შორის არის მსგავსება. მთავარი განსხვავება არის ის რომ მასწავლებლებს მოსწავლეებისა და სტუდენტებისგან განსხვავებით აქვთ გამოცდილება, პროფესიული გამოცდილება რომელის დახვეწაც შესაძლებელია მათი პროფესიული განვითარებისთვის. შემოთავაზებული მოდელის მიზანია დაეხმაროს მასწავლებლებს შეცვალონ მიდგომა.

პრეამბულა

მასწავლებლებმა უნდა გამოიკვლიონ თუ როგორ სწავლობენ მათი ტრენერები (მასწავლებლები), რა არის მათი სწავლის სტილი, და თუ როგორ იყენებენ ისინი მრავალმხრივ ინტელექტს. ამისთვის კი უნდა ჩატარდეს სათანადო კვლევა სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით რომ გაიზომოს მათი უნარები და პოტენციალი.

ტრენინგი

ტრენინგის მიზნებიდან გამომდინარე, იქნება ეს საგნის სწავლების მეთოდების გაუჯობესება, ქცევის გაუმჯობესება, კონფლიქტი სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის, თუ მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის, ან ნებისმიერი რამ რაც უკავშირდება პედაგოგიკას და სოციალურ ინტერაქციას, ტრენერებმა შესაძლებელია შეცვალონ მათი სწავლების მეთოდები რომლებსაც იყენებენ მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის მიდგომებით რომელიც შესაძლოა იყოს დრამა, როგორც მეტაფორა, დიალოგური მნიშვნელობის შექმნა, ექსპერტის მანტია, თუ როლების გათამაშება. ამგვარი მიდგომით სესიების ჩატარების მიზანია რომ მასწავლებლებმა შეძლონ საკითხის სიღრმისეული და დეტალური განხილვა ტრენინგში მეტი ჩართულობით და კვლევით. მასწავლებლები გამოიყენებენ ისეთ სტრატეგიებს როგორიცაა ანსამბლი, ფიქრი ქმედებაზე და ქმედებისას რათა

გაიღრმაონ ცოდნა და უნარები. მნიშვნელოვანია რომ ტრენინგი იყოს დროში გაწელილი რათა მოხდეს მისი კონცეპტუალიზაცია.

შეფასება

ტრენინგის დასრულებისთანავე უნდა მოხდეს მასწავლებლების შეფასება და თვით-შეფასება იმის დასადგენად თუ რისი მიღწევა მოხერხდა ტრენინგებით და მოხდეს მისი შედარება მათ ადრეულ სწავლის გამოცდილებასთან. ამის შემდეგ კი უნდა მოხდეს პროცესის გაგრძელება იმის სანახავად იყო თუ არა პროფესიული განვითარების პროგრამა სასარგებლო.

მკვლევარის მიერ შემუშავებული მასწავლებელტა პროფესიული განვითარების მოდელი შედგება ოთხი ეტაპისგან (მომზადება, რეალიზება, შეფასება და განხორციელება) და სხვადასხვა კომპონენტებისგან (ცხრილი 2.1).

ცხრილი 2.1 დრამაზე დაფუძნებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოდელი

მომზადება	კვალიფიცირებული ტრენერების წინასწარი შერჩევა და/ან მომზადება დრამაზე დაფუძნებული პროფესიული განვითარებისთვის
	მასწავლებლების გამოკითხვის ჩატარება მათი საჭიროებების, ინტერესების, ტრენინგის წინარე გამოცდილების, დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის და სწავლების ცნობადობის და სწავლის სტილების დასადგენად; მირებული შედეგების ანალიზი
	მიღებული შედეგების შემდეგ პროფესიული განვითარების პროგრამის დაგეგმვა; აქტივობების შერჩევა: სცენარით / სცენარის გარეშე, რეპეტიცია რომელსაც მოჰყვება განხილვა / სპონტანური განხილვა / ერთ-ერთი მასწავლებელი რეჟისორის ასისტენტი როლში
რეალიზება	შესავალი / მოთელვა: • საჭიროების შემთხვევაში თეორიული ინფორმაციის მიწოდება დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის / დრამაზე დაფუძნებული სწავლების და / ან შესასწავლი თემის პედაგოგიური საკითხი • პრობლემის / სიტუაციის შერჩევა და განხილვა, როლების განაწილება, საჭიროების შემთხვევაში მონახაზის ან სცენარის და მოსალოდნებლი ქცევის განხილვა
	რეპეტიცია / განვითარება: დიალოგური მნიშვნელობის შექმნა, როლური თამაში, პროცესული დრამა, არტეფაქტი და სხვადასხვა ტექნიკების განხილვა, ექსპერტის მანტია, ამბის თხრობა ან დაწერა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება რთულ სიტუაციაში და სცენარის რედაქტირება
	დაკვირვება საჭიროების შემთხვევაში

შეფასება	ჯგუფური: დისკუსიის შემდეგ პრობლემის გადაწყვეტა
	ინდივიდუალური: წერილობითი უკუკავშირი (ჟურნალი, ბლოგი, და სხ.), კითხვარი / ინტერვიუ (იმის გასარკვევად მიღწეულ იქნა თუ არა ახალი ხედვა)
განხორციელება	სწავლება, დრამაზე დაფუძნებული სწავლება და /ან ახალი მეთოდოლოგია რომელიც იყო ტრენინგის თემა

შემუშავებულია მკვლევარის მიერ

წინამდებარე თავში მკლევარმა განიხილა დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის საშუალებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების რელევენტური კვლევები. 21-ე საუკუნეში საკმაოდ დიდი მოთხოვნა არის საქმის პროფესიონლი ადამინები იყვნენ დასაქმებულები რადგანაც საზოგადოება მუდმივად იცვლება. გარდა ამისა, ორგანიზაციები და ბიზნეს სექტორი ისწრაფვის იმისკენ რომ საკუთარი პროდუქტი მოარგონ საზოგადოების მოთხოვნებს რომელმაც ინიცირება გაუკეთა შემდგომ კვლევებს. შესაბამისად, საგანმანათლებლო ინსიტუტები ცდილობენ თავიანთი მიდგომების ტრანსფორმირებას მენეჯმენტის კუთხით.

ვოსენბერგს (2000) მიაჩნია რომ „ნებისმიერი ლიდერის მთავარი ამოცანაა ადამიანების გაერთიანება მთავარი ფასეულობების ირგვლივ“ (გვ.158). თუ ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულება განიცდის დინამიურ და მდგრად განვითარებას, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მთავარ ფასეულობებს რომელიც განისაზღვრება მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვით და ადამიანური რესურსების (მასწავლებლების) სათანადო გადანაწილებით. მასწავლებლები უნდა გაეცნონ ამ მთავარ ფასეულობებს პროფესიული განვითარების პროგრამების საშუალებით. ეს არის როგორც ლიდერის, ასევე მენეჯერის მოვალეობა ხანგრძლივ პერსპექტივაში.

დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკა შესაძლოა იყოს ის რევოლუციური მიდგომა რაც შეიძლება გამოიყენონ განათლების ლიდერებმა. ის შესაძლოა გამოყენებული იყოს ინტელექტუალური და აფექტური სწავლისთვის დასახული მისიის შესასრულებლად რისი მეშვეობითაც მათი მასწავლებლები განვითარდებიან

პროფესიულად და უკეთ შეძლებენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. გარდა ამისა, მენეჯმენტი და მასწავლებლები სხვადასხვა გამოწვევების წინაშე დგანან მოსწავლეებთან მიმართებაში და ზოგჯერ მშობლებთანაც კი. გავლენის და ძალის, დატვირთვის, ლიდერობის სტილის და ცვლილებების მიუღებლობის გამო, მენეჯმენტი სხვადასხვა კონფლიქტურ სიტუაციებს აწყდება (Frolova, Rogach, Ryabova, & Zuykina, 2019), როგორიცაა კონფლიქტი მასწავლებლებს და კოლეგებს შორის, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის და ზოგჯერ ადგილი აქვს შინაგან ფსიქოლოგიურ კონფლიქტებს რასაც იწვევს ეთიკური, თეორიული და კონსტიტუციური კვეთა რაც გავლენას ახდენს მათ როლებზე, ქცევაზე და საქმიანობაზე სამსახურში და კლასში. რისკების იდენტიფირება მასწავლებლებზე იქნება დამოკიდებული, რადგან ისინი არიან უშუალო კონტაქტში მოსწავლეებთან.

მესამე თავი. კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი

წინამდებარე კვლევა დაიგეგმა ჰიპოტეზაზე პასუხის გასაცემად, რომლიც შემდეგნაირად ჟღერს: „ტრენერები, რომლებიც გეგმავენ ტრენინგს და ახორციელებენ დრამაზე დაფუძნებული მიდგომის საშუალებით მასწავლებლების პროფესიული განვითარების კუთხით, უფრო კარგი შედეგები აქვთ იმ ტრენერებთან შედარებით, რომლებიც იყენებენ ტრადიციულ (ლექცია) მიდგომას და ამ ყველაფერს გავლენა აქვს მასწავლებლებზე რომლებიც კრეატიულად უწევენ მოდერნიზებას თავიანთი სწავლის მეთოდებს“. წინამდებარე კვლევა შედგება ოთხი ნაწილისგან: 1. მასწავლებლების კითხვარი პროფესიული განვითარების შესახებ; 2. მასწავლებლების ექსპერიმენტული ტრეინინგი და ინტერვიუ; 3. მასწავლებლების კითხვარი ექსპერიმენტის შემდგომ ტრეინიგზე; 4. მასწავლებლების საქმიანობა კლასში ექსპერიმენტის შემდეგ. პირველი კვლევა ეხება მასწავლებლების წარსულ პროფესიული განვითარების პროგრამებს და აქტივობებს. მონაცემების მისაღებად, მკვლევარმა შეიმუშავა ორი კითხვარი და ჩაატარა საპილოტე კვლევა უგანდის დაწყებითი სკოლის სამ მასწავლებელთან. ეს კითხვარები ფიზიკურად დაურიგდათ მასწავლებლებს მეორე კვლევამდე (ტრეინინგამდე).

მეორე კვლევა მოიცავდა სამ დღიან ტრეინინგს, რომლიც ჩატარდა მკვლევარის მიერ და მისი თემატიკა იყო „მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლის შექმნა (Child-Friendly School)“ სადაც სწავლების მეთოდი იყო დრამაზე ორიენტირებული. ტრეინინგის შემდეგ გაიმართა უკუკავშირის სესია მასწავლებლებისაგ თვისობრივი მონაცემების მისაღებად და აგრეთვე დაურიგდათ კითხვარი შესავსებად მათ მიერ გაცემული პასუხების ვალიდურობისთვის. სამი სკოლიდან (Kibaale Primary School, Bugoma Primary School and Bumangi Primary School) 16-მა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა ტრეინინგში.

მეოთხე კვლევამ კი შეისწავლა მასწავლებლების ქმედებები გაკვეთილზე ექსპერიმენტული ტრეინინგის შემდეგ. ათმა მასწავლებელმა ჩაწერა საკუთარი გაკვეთილი ვიდეოზე, რომელიც შემოწმდა სხვა მასწავლებლების მიერ რომლებსაც ჩაუტარდათ ტრეინინგი ვიდეოზე ჩაწერილი გაკვეთილების შესაფასებლად.

მონაცემთა შეგროვება

წინამდებარე თემისთვის კვლევა ჩატარდა უგანდაში, კალანგალას კუნძულზე.მკველევარი ესტუმრა სამ სკოლას რომელებიც კუნძულის სხვადასხვა რაიონებში მდებარეობს. კვლევაში მონაწილებაზე დათანხმდა მხოლოდ 16 მასწავლებელი რომლებიც კვლევის ექსპერიმენტული ჯგუფის მასწავლებლები იქნებოდნენ. ის მასწავლებები კი რომლებსაც არ ჩაუტარდებოდათ დრამაზე დაფუძნებული ტრენინგი კი იქნებოდნენ საკონტროლო ჯგუფის მასწავლებლები (მათ ჩაუტარდათ ტრეინინგი ტრადიციული მიდგომით).

კვლევა 1: წინა საექსპერიმენტო კითხვარი მასწავლებლების გამოცდილების შესახებ წარსულში ჩატარებულ პროფესიულ ტრეინინგზე

ლიკერტის შკალის მიხედვით შედგენილი კითხვარი დაურიგდათ მასწავლებლებს რომლის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები: პირველი კითხვა ეხებოდა სწავლის სტილს. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა რომ მასწავლებლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საკუთარი სწავლის სტილს. გამოკითხულ მასწავლებელთა 40%-მდე არ არის დარწმუნებული ახდენს თუ არა გავლენას ტერინინგი მათი

სწავლის სტილზე, რაც მიუთითებს იმაზე რომ მათ არა აქვთ გაცნობიერებული პროფესიული განვითარების არსი. ეს პასუხი კი ეთანხმება მე-5 კითხვის პასუხს, რომ ბევრი მასწავლებელი არ აქცევს ყურადღებას პროფესიული განვითარების საკითხს. მკვლევარის დაკვირვებით, მასწავლებლები განაგრძობენ სწავლებას წლების მანძილზე პროფესიული განვითარების გარეშე. ეს კი ეთანხმება მალუნდას (2018) მოსაზრებას, რომ განათლების დონე უგანდაში რჩება დაბალი, განსაკუთრებით იმ პირობებში როცა მასწავლებლები არ ზრუნავენ პროფესიულ განვითარებაზე, რომელიც თავის მხრივ გავლენას იქონიებს მათ შეხედულებებზე და სწავლების სტილზე.

მე-2 კითხვის პასუხებიც ადასტურებს იმ ფაქტს რომ ყოფილი ტრენერები არ აქცევდნენ ყურადღებას იმას, თუ როგორ ისწავლიდნენ მასწავლებლები. გამოკითხულთა 80% ადასტურებს ამ მოსაზრებას. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ ტრენერები მიიჩნევდნენ რომ მასწავლებლებიც ისევე სწავლობენ როგორც მოსწავლეები. ეს კი არის ის მეთოდი რომლსაც ფრიერი (1970) აკრიტიკებს. მიუხედავად იმისა რომ გამოკითხულმა მასწავლებლებმა დაადასტურეს სწავლების მეთოდის ეფექტურობა მე-3 კითხვაში, დანამდვილებით ვერ ვიტყვით რომ ეს არის შედეგი იმ ცოდნისა რომელიც მათ ჰქონდათ. თუ მათ სხვა მეთოდებს შევთავაზებდით, შესაძლოა სხვაგვარად ეფიქრათ. მასწავლებლების პასუხები წარსულ გამოცდილებასთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება პირველი კითხვის პასუხებს სწავლის სტილთან დაკავშირებით.

გამოკითხულთა 60% ეთანხმება იმ აზრს რომ ტრენინგები რაც მათ გაიარეს წარსულში შეესაბამება მათი სწავლის სტილს. მე-7 კითხვის პასუხიტ ნათელია რომ თუ მასწავლებლებს ჰკითხავენ მომავალში სწავლების მეთოდებზე, ისინი ამჯობინებენ იმ სახის ტრეინინგს რომლებიც შეესაბამება მათი სწავლის სტილს. მე7-8 კითხვებზე პასუხებიდან ნათელია, რომ დრამაზე დაუძნებული სწავლება ახალი მათთვის და ამ მეთოდს ბევრი მათგანი უწინ არ იცნობდა, ან მხოლოდ რამოდენიმე ელემენტს იცნობენ.

მეორე კითხვარის მიზანი იყო გაგვეგო თუ რა გავლენა მოახდინა რეპოდენტთა წარსულმა აქტივობებმა პროფესიული გამოცდილების კუთხით მათ სწავლაზე და უნარებზე. აღნიშნული კითხვარი შეივსო ექსპერიმენტულ სწავლებამდე. მიღებული შედეგებიდან გაირკვა, რომ ყველა მათგანს (როგორც ექსპერიმენტულ ასევე საკონტროლო ჯგუფში) ერთხელ მაინც ჰქონდა მონაწილეობა მიღებული პროფესიული განვითარების ტრეინინგში რომელიც ორგანიზებული იყო უგანდის განათლების სამინისტროს მიერ. აღნიშნული ტრეინინგენის გარკვეული ნაწილი ეხებოდა საგნის სწავლების კუთხით ცოდნის განახლებას (როგორიცაა ინგლისური ენა და მათემატიკა), სწავლების მასალებს, პრობლების გადაჭრაზე ორიენტირებულ მიდგომებს, სპორტს (კალათბურთი თუ თანვარჯიში ბავშვებისთვის), სპეციალურიგანათლებას, კითხვის უნარ-ჩვევის გაუმჯობესებას ადრეულ ასაკში და კომპიუტერულ უნარების დახვეწას.

ტრეინინგზე გამოყენებული მეთოდი ძირითადად იყო სალექციო პრეზენტაციის გამოყენებით, თუმცა ზოგიერთმა რესპოდენტმა ახსენა სხვა მეთოდი როგორიცაა, ჯგუფური მუშაობა, როლური თამაში და დისკუსია, და დემონსტრირების მეთოდი. ყველამ აღიარა რომ მათ ჰქონდათ დრო რომ დაფიქრებულიყვნენ იმაზე თუ რა ისწავლეს, მაგრამ არცერთმა მათგანმა არ ახსნა თუ რა ტიპის რეფლექცია ჰქონდათ და რამდენ ხანს გაგრძელდა. მათ აგრეთვე აღნიშნეს რომ დავალებების საშუალებით მოხდა უკუკავშირი და მირებული ცოდნა გამოიყენეს სამსახურში.

ექსპერიმენტი (კვლევა 2)

ტრეინინგს ჰქონდა თამაშის სახე, რის შემდეგაც მონაწილეებმა გააკეთეს რეფლექცია თამაშზე და უშუალოდ პროცესზე. ექსპერიმენტის მიზანი იყი იმის გარკვევა იქნებოდა თუ სხვა მეთოდი ეფექტური ლექციასთან შედარებით. თამაშის ადაპტირება მოხდა სარიტუალო სავრჯიშოდან რომელიც შესრულდა ინდოეთის ერთ-ერთ დაწყებით სკოლაში (Riverside primary school in Ahmedabad, Gujarat, India). ეს არის სკოლა რომელიც იყენებს დრამაზე დაფუძნებულ პედაგოგიურ მიდგომას როგორც გაკვეთილზე ასევე მის მიღმა. ყოველ დილით ყველა კლასს აქვს შეხვედრა და ჩართულები არიან ე.წ. ‘კონგლომში’.

კონგლომი არის პერიოდი როცა მასწავლებლები და მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრებს ერთმანეთს და სწავლობენ ერთმანეთისგან, რაც არის აფექტური სწავლების ფორმა რომელიც შეიძლება მოხდეს საუბრის, სავარჯიშოს, თამაშის თუ გამოცდილებაზე რეფლექსიის სახით. ეს კი ამზადებს მოსწავლეებს ემოციურად და ინტელექტუალურად გაკვეთილისთვის (Riverside School, 2018). ერთ-ერთ სესიას უძღვებოდა კლასის მასწავლებელი ნაილ ვოში, რომელიც ჩართული იყო ჯგუფის შექმნის თამაშში. თამაშის არსი იყო რომ დერეფნის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გასულიყვნენ ადამიანები მათი ფიზიკური შესაძლებლობები მიუხედავად. იგივე თანაში იქნა გამოყენებული მასწავლებლების ტრეინინგზე, რომლის თემატიკაც იყო დრამის გამოყენებით *მოსწავლე-მეგობრული სკოლის შექმნა.*

მასწავლებლები დაჯგუფდნენ ოთხ ჯგუფად, სადაც ერთი იყო ბრმა, ერთი ყრუ, ერთი მუნჯი და ერთიც კოჭლი. ყველა ჯგუფს უნდა ემუშავა ერთად და ოთხი ჭილოფის გამოყენებით გადაეყვანათ ერთმანეთი სკოლის ერთი მოედნიდან მეორეში. თამაშის წესების გაგების შემდეგ, ისინი უნდა გამკლავებოდნენ სირთულეებს რაც თითოეულ მათგანს ჰქონდა მაგრამ ერთად მუშაობის შედეგად მათ უნდა გამოეძებნათ გზა როგორ გადავიდნენ ერთი ბოლოდან მეორეში რომლის დროსაც ზოგიერთი იყო სწრაფი, ზოგიერთიც კი არა და შესაბამისად ჩამორჩებოდა ჯგუფს.

საინტერესო და მხიარული სავარჯიშოს შემდეგ მკვლევარმა (ტრენერმა) ყველა ჩართო დიალოგში სადაც ყველამ მომიხილა საკუთარი გამოცდილება თამაშის დროს, რა იყო მათთვის გამოწვევა, თუ როგორ შეიძლებოდა ამ გამოცდილების გამოყენება სტუდენტებთან კლასში და კლასის გარეთ განსაკუთრებით იმ ნაწილთან ვისაც პრობლემა აქვს.

კვლევა 3. ექსპერიმენტის შემდგომი ტრეინინგის კითხვარი

მეორე კვლევის შემდეგ რომელიც ჩატარდა ექსპერიმეტულ ჯგუფთან, ჩაშვებულ იქნა მეორე კითხვარი რომლის მიზანიც იყო ექსპერიმნტში ჩართული

მასწავლებლების აზრის გაგება გამოყენებულ მეთოდზე. გამოკითხულთა 86% არ ჰქონდა დრამაზე დაფუძნებული ტრეინინგი, მაგრამ 14% არ იყო დარწმუნებული ამაში. მიზეზი რატომაც ფიქრობენ ასე არის მსგავსება როლურ თამაშთან თუცაღა მათ შორის არის განსხვავებებიც. გავლილი ტრეინინიგის შედეგად რესპოდენტების 57% ეთანხმება აზრს რომ გავლილმა ტრეინინგმა გავლენა მოახდინა მათ შეხედულებაზე პროფესიული განვითარების შესახებ მაშინ როცა 28% მიაჩნია რომ მათი ჩართულობა იყო ნორმალური როგორც სხვა მეთოდების შემთხვევაში.

რაც შეეხება მათ მეთოდების უპირატესობას, გამოკითხულთა 86% მიიჩნევს რომ დრამაზე დაფუძნებული მიდგომა უფრო სასარგებლოა მაშინ როცა 14%-ს მიაჩნია რომ ის მეთოდები რასაც აქამდე იყენებდნენ მეტად სასარგებლოა. დადებითი პასუხების მიზეზი შესაძლოა იყოს ის რომ მეთოდი არის საინტერესო, ახდენს ინტერესის სტიმულირებას და ადამიანებს აძლევს შანსს იყვნენ აქტიურები და გამოიჩინონ თავი. უარყოფითი პასუხების მიზეზი შესაძლოა იყოს ის ფაქტი რომ ეს მეთოდი ავლენს ადამიანების სუსტ მხარეებს. გარდა ამისა, მათი სწავლის სტილი წლების განმავლობაში იყო მხოლოდ წერა და კითხვა.

ყველა მონაწილემ აღიარა რომ მათ ჰქონდათ საშუალება პრაქტიკაში განეხორციელებინათ ის რისი კონცეპტუალიზაციაც მოხდა ტრეინინგის დროს. რაც შეეხება მათ რეფლექსიას ტრეინინგზე შეძენილ ცოდნასა და უნარებზე, ბევრმა მათგანმა აღიარა რომ ისინი ახდნენ პრეფლექსიას (დასაგეგმად აზრების ფორმირების და გაზიარების პროცესი, იმისათვის რომ მოხდეს სწავლებამდე არსებული წინარე ცოდნის და გამოცდილების შეგროვება მონაწილეებიასგან) და აანალიზებდნენ საკუთარ ქმედებასა და სწავლის ეტაპებს. რაც შეეხება ტრეინინგის შედეგად შეძენილი ცოდნის გამოყენებას კლასში, მონაწილეთა 78%-მა დადებითად უპასუხა. უარყოფითი პასუხი ამ კითხვაზე არ დაფიქსირებულა, უფრო კი დასაფიქრებელი პასუხი, რადგან 21% უპასუხა რომ ისინი არ არიან დარწმუნებულები შეძლებენ თუ არა ისინი ამ მეთოდის პრაქტიკულად გამოყენებას კლასში. დასახელებულ მიზეზებს შორის იყო ის რომ მას სჭირდება დიდი დრო და არის დამატებითი სამუშაო, მაგრამ დადებითი პასუხების

კომენტარი იყო ის რომ ეს მეთოდი მოახდენს ინტერესის სტიმულირებას კლასში და მასწავლებლები შეძლებენ პასიური და მორცხვი სტუდენტების ჩართვას რაც ძალიან დადებით გავლენას მოახდენს მათ სწავლაზე.

კვლევა 4. მასწავლებლების ექსპერიმენტის შემდგომი ქმედება კლასში

ტრეინინგის შემდეგ, მკვლევარი დააკვირდა მასწავლებლებს თუ როგორ შეძლებდნენ ისინი შეძენილი ცოდნის (მიდგომების, მეთოდების და სტუდენტებთან ურთიერთობის) კლასში გამოყენებას. ეს დაკვირვება გრძელდებოდა ექვი თვის განმავლობაში დისტანციური კომუნიკაციის რეჟიმში სოციალური მედიის საშუალებით სადაც ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას, სვამდნენ კითხვებს და შესაბამისად პასუხობდნენ ერთმანეთს. ამის შემდეგ კი მოხდა მათი გაკვეთილების ჩაწერა და გაანალიზება თუ რამდენად იყენებდნენ მასწავლებლები შეძენილ ცოდნას პრაქტიკულად.

ექვსი თვის მიწურულს, 16 მასწავლებლიდან მხოლოდ ექვი დათანხმდა მონაწილეობა მიეღო კვლევაში. მათ ჩაწერეს ოთხ-ოთხი ვიდეო გაკვეთილი რეალურ კლასში რომელსაც ასწავლიდნენ. საკონტროლო ჯგუფი შედგებოდა ოთხი მასწავლებლისგან რომლებმაც გაიარეს ტრეინინგი მაგრამ ტრადიციული მეთოდით და არა დრამაზე დაფუძნებული მიდგომით. მათაც გააკეთეს ოთხი გაკვეთილის ვიდეო ჩანაწერი. ჩანაწერები გაანალიზებულ იქნა მასწავლებლების მიერ სხვადსხვა ქვეყნიდან (საქართველო, ნიგერია, უგანდა და ბრიტანეთი) შესაბამისი რუბრიკის მეშვეობით რომელიც შემუსავებულ იქნა მკვლევარის მიერ.

იმისათვის რომ გავარჩიოთ ექსპერიმენტული და საკონტორლო ჯგუფის ვიდეო ჩანაწერები, ა,ბ,გ,დ (A,B,C,D) ეკუთვნის ექსპერიმეტულ ჯგუფს და ე,ვ,ზ,თ (E,F,G,H) კი საკონტროლო ჯგუფს. კვლევის ინსტრუმენტი დაიყო ორ ნაწილას იმსათვის რომ ანალიზი უფრო მარტივი და მოსახერხებელი ყოფილიყო. პირველი ნაწილი (კითხვა 1-4) ეხებოდა დრამაზე დაფუძნებული მიდგომის ელემენტებს გაკვეთილზე და მეორე ნაწილი კი (კითხვა 5-10) ეხებოდა რა შედეგი ჰქონდა სწავლებას მოსწავლეებიის აფექტურ და კოგნიტურ დონეზე. 1-4 კითხვების

ანალიზის საფუძველზე გაირკვე რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევდნენ მოსწავლეების სწავლის სტილს, აფექტურ სწავლებას და იყენებდნენ სხვადასხვა ტექნიკებს რითიც განსხვავდებოდა მათი სწავლების სტილი საკონტროლო ჯგუფის მასწავლებლების სწავლების სტილისგან რაც იმის მაჩვენებელიცაა რომ საკონტროლო ჯგუფის მასწავლებლები ძირითადად ყურადღებას აქცევდნენ კოგნიტურ სწავლებას.

ვიდეოს შემფასების შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზება მოხდა χ კვადრატის ტესტის გამოყენებით. 5-10 კითხვებისთვის მკვლევარმა ჩამოაყალიბა ჰიპოტეზა, რომლიც შემდეგნაირად ჟღერს:

5) დრამაზე დაფუძნებული სწავლება ავითარებს მასწავლებლებს რომ მათ შეძლონ სტუდენტების მოტივირება ატიური ჩართილობის კუთხით;
6) დრამაზე დაფუძნებული სწავლება გავლენას ახდენს მასწავლებლების განვითარებაზე რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეების ინტელექტუალურ და აფექტურ განვითარებას;
7) დრამაზე დაფუძნებული სწავლება გავლენას ახდენს მასწავლებლების განვითარებაზე რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეებში კრეატიულობის და ინტერპრეტაციის უნარის განვითარებას;
8) დრამაზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს მასწავლებლებს რომ მათ მოსწავლეებში განავითარონ დიალოგური უნარ-ჩვევა;
9) დრამაზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს მასწავლებლებს რომ მათ მოსწავლეებში განავითარონ აღწერის, ანალიზის და კონცეფციების ერთმანეთთან დაკავშირების უნარი;
10) დრამაზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს მასწავლებლებს რომ მათ მოსწავლეებში განავითარონ უნარი რომელიც ეხება გავითილის იდეას თვითონ.

პირსონის კოეფიციენტის მიხედვით, თუ კოეფიციენტი არის პატარა, ნაკლები ვიდრე 0.05 (ან უდრის 0.05), მაშინ კოეფიციენტი სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი, თუ ის დიდია, ანუ 0.05-ზე მეტი, მაშინ შედეგი სტატისტიკურად

მნიშვნელოვანია (McLeod, 2019). ყველა მიღებული პასუხების ტესტის შედეგები იყო უფრო დიდი ვიდერე მიღებული ნორმა პირსონის კოეფიციენტის მიხედვით, რაც გვაძლევს იმის საფუძველს რომ ყველა მიღებული პასუხი იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და მისაღები.

დასკვნები და რეკომენდაციები

დისერტაციაში გაანალიზებული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი დრამაზე დაფუძნებული მიდგომის მნიშვნელობას ასახავს მასწავლებლების პროფესიული განვითარების კუთხით. მასწავლებლები როგორც პროფესიული საზოგადოების წევრები მზად არიან შეცვალონ საკუთარი ხედვები, შეიძინუნ ცოდნა და უნარ-ჩვევები რაც მათ პროფესიონალიზმს ავითარებს.

წინამდებარე სადოქტორო დისერტაცია აანალიზებს სხვადასხვა თეორიას რომელიც დაკავშირებულია დრამაზე დაფუძნებულ მიდგომასთან და მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასთან ამ მიდგომის გამოყენებით, როგორებიცაა ერვინ გოფმანის თეორია (1959), კოლბის ექსპერიმენტული სწავლების თეორია (Kolb, 1984), კონსტრუქტივისტული თეორია (Piaget, 1970) და ნაკადის თეორია (Csikszentmihalyi, 1975).

დისერტაციაში გაანალიზებული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი ამტკიცებს რომ დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკა იძლევა სხვადასხვა საშუალებას, როგორიცაა ჯგუფში მუშაობა, ქმნის მეგობრულ და შემსწავლელზე ორიენტირებულ ატმოსფეროს სადაც მათ ფსიქოლოგიური თავისუფლება აქვთ, ღია საუბრის საშუალება რაც ტრეინიგში ჩართულ მასწავლებლებს საშუალებას აძლევს გაეცნონ და მიიღონ სხვადასხვა კონცეფციები, მიდგომები, ფასეულობები და შეცდომებიც კი.

წინამდებარე კვლევა გვთავაზობს რომ დრამაზე დაფუძნებული მიდგომა რომელიც გამოყენებულა მასწავლებლების პროფესიული განვითარების კუთხით ცვლის ტრენერების, როგორც მასწავლებლების მიდგომებს, რომლებიც უკვე ექსპერტებად მიიჩნევიან სფეროში და ის ქმნის საშუალებას უფრო მეტად განვითარდნენ

პროფესიული კუთხით. ეს მიდგომა საშუალებას აძლევს მასწავლებლებს რომ მათ მოახდინონ რეფლექცია მუშაობის პროცესში და მის შემდეგ.

დისერტაციაში განხილული ლიტერატურის ნაწილი ეთმობა იმ გამოწვევებს რაც ამ მიდგომის იმპლემენტაციას მოყვება მასწავლებლების პროფესიული განვითარების კუთხით. პირველი გამოწვევა მასწავლებლების და ტრენერების დარწმუნებაა იმაში რომ ეს არ არის დრამა, არამედ მიდგომას დრამის ელემენტები აქვს აღებული რაც სწავლებაში გამოიყენება. მეორე გამოწვევა ეხება იმ მასწავლებლებს რომლებიც ცდილობენ ძალაუფლების შენარჩუნებას კლაში და აქვთ ავტოკრატული მიდგომა. მესამე სირთულე კი მდგომარეობს აღნიშნული მიდგომის ცოდნის სიმცირეში. გარდა ზემოთ ხსენებული გამოწვევებისა, დრამაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებას სჭირდება მასწავლებლების მაღალი კვალიფიკაცია და და საკმაოდ დიდი დრო პროცესის დასაგეგმად და განსახორციელებლად.

დისერტაციაში ადრეთვე გაანალიზებულია დრამაზე დაფუძნებული პედაგოგიკის გავლენა ბრიტანეთის განათლების სფეროზე მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე. მან შეცვალა არა მარტო განათლების სამინისტროს, მკვლევარების და მასწავლებლების შეხედულებები სწავლებასთან მიმართებაში აღნიშნული მიდგომის გამოყენების კუთხით, არამედ მოხდა დრამაზე დაფუძნებული მიდგომის იმპლიმენტაცია მოსწავლეების ჯანმრთელობისა და სოციალური კეთილდღეობის კუთხით. ამჟამად, ბევრ სასწავლო დაწესებულებას აქვს კურსი გამოყენებითი დრამის და ფსიქოლოგიის კუთხით, არა მხოლოდ მისი სარგებლობის გამო, არამედ იმისთვის რომ მოხდეს სტუდენტების თვალსაწიერის და უნარების გაფართოვება რათა მათ შეძლონ საკუთარი წვლილის შეტანა საზოგადოების განვითარებაში.

კვლევაში მონაწილე პირებმა ექსპერიმენტული ჯგუფიდან დააფიქსირეს მოსაზრება რომ დრამაზე დაფუძნებული სწავლება არის საინტერესო, სახალისო და სტიმულის მომცემი, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს გამოავლინონ თავიანთი ნამდვილი სახე და არ იყვნენ პასიური მსმენელები სწავლა/სწავლების პროცესში. მათ აგრეთვე გაათვითცნობიერეს რომ ამ ტიპის პროფესიული განვითარების ტრეინინგი დაეხმარათ გაეგოთ იმ მოსწავლეების პრობლემები

რომლებიც სირთულეებს აწყდებიან სხვადასხვა მიზეზების გამო. შედეგად, მათი მიდგომა ამ ტიპის სტუდენტების მიმართ შეიცვლება როგორც სწავლების კუთხით, ასევე ურთიერთობის კუთხითაც.

დისერტაციაში წარმოდგენილმა მოდელმა რომელიც შემუშავებულ იქნა მკვლევარის მიერ დაამტკიცა კვლევის ჰიპოტეზა, რომ ტრენერები რომლებიც მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას ახორციელებენ დრამაზე დაფუძნებული მიდგომით, აქვთ უკეთესი შედეგები და გავლენა მასწავლებლებზე, რომლებიც თავის მხრივ ახდენენ კრეატიულ მოდერნიზებას სწავლების მეთოდების და მიდგომის. კვლევის მიზანი იყო გვენახა თუ რამდენად მოქნილი იქნებოდა ამგვარი მიდგომა ტრადიციულთან შედარებით. მისი ეფექტურობა დამტკიცდა მასწავლებლების ჩართულობით ტრეინინგის დაგეგმვის პროცესში და შემდეგ კი უშუალოდ პროცესის განმავლობაში როდესაც მხედველობაში მიღებულ იქნა სწავლის სტილი და გამოყენებულ იქნა სწავლების ექპერიმენტული, სოციალური და კონსტრუქტივისტული თეორიები.

მიღებულმა სტატისტიკურმა მონაცემებმა გვიჩვენა რომ ექსპერიმენტული ჯგუფის მასწავლებლებმა გაცილებით კარგი შედეგები აჩვენეს საკონტროლო ჯგუფთან შედარებით უშუალოდ სწავლების პროცესში. ეს კი ნათელი გახდა ვიდეოების ჩანაწერიდან, რომელიც შეფასებულ იქნა სპეციალურად დატრეინინგებული შემფასებლების მიერ. ექსპერიმენტული ჯგუფის მასწავლებლებმა შეძლეს სტუდენტების მოტივირება ინტელექტუალური და აფექტური სწავლებით, კრეატიულობის სტიმულირება, გაიზარდა მათი შემოქმედებითი უნარი, დაეხმარა მათ აღწერა და ანალიზი გაეკეთებინათ იმ მასალის რომელიც შეისწავლეს საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

დისერტაციის ძირითადი დებულებები ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. Adedoyin, S. A. (2019). The issue of teacher professional development methods (A case study of Ibadan, Nigeria). In J. Krajka, J. Smeds, & N. Doghonadze (Eds), *Modern Trends in Education in Georgia – Volume 2* (pp.70-84). Lambert Academic Publishing.
2. Adedoyin, S. A., & Scott, J. (2019). Applied drama as a practical tool in the assessment of students' learning – Military training in emergency situations in Tbilisi, Georgia (A case study). In N. Parjanadze, & E. Pipia (Eds.), *Modern Trends in Education: Perspectives for Reform Initiatives in Georgia,* (pp.122-137). Lambert Academic Publishing.
3. Adedoyin, S.A., & Mcloughlin, S.W. (2019). An investigation of aesthetic learning as part of teacher professional development. *Innovations In The Modern World Monograph Sepike,* (pp.14-21). Association 1901, Social Educational Project of Improving Knowledge in Economics "SEPIKE".